




ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



სუფთა გარემო ნარჩენების გარეშე ხაშურის მუნიციპალიტეტში



2022 წელი

სუფთა გარემო ნარჩენების გარეშე საშურის მუნიციპალიტეტში

კვლევა

პუბლიკაცია მომზადებულია "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის" ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან ა(ა)იპ „მეგობრობის ხიდი ქართლოსი“ და ა(ა)იპ „ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).



სარჩევი

შესავალი.....	4
კვლევის მიზანი და ამოცანები.....	5
მეთოდოლოგია.....	5
კვლევის ანგარიში.....	7
სამაგიდო კვლევა	7
ფოკუს დისკუსიის ანალიზი	14
რაოდენობრივი კვლევის ანალიზი	24
დაკვირვების შედეგი	35
ტერმინთა განმარტება	38
დანართები.....	39
დანართი №1	39
ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა	39
დანართი №2.....	41
რაოდენობრივი კვლევის კითხვარი.....	41
დანართი №3.....	48
რაოდენობრივი კვლევის დიაგრამები	48

შესავალი

ნარჩენების მართვა და უსაფრთხო გარემოს შექმნა არის ერთ-ერთი პასუხისმგებლობა, რომელიც საქართველომ 2014 წელს ევროკავშირის ასოცირების დოკუმენტზე ხელმოწერით¹ აიღო. წლების მანძილზე საქართველოში მოშლილი იყო ნარჩენების მართვის სისტემა, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობაში სტიქიური ნაგავსაყრელების გაჩენას და ქვეყანაში საკმაოდ რთული სიტუაცია იყო ამ მიმართულებით. 2017 წელს მუნიციპალიტეტებმა შეიმუშავეს „ნარჩენების მართვის მუნიციპალური სტრატეგია“, რომელიც ყველა მუნიციპალიტეტმა დაამტკიცა საკუთარი ადმინისტრაციული ტერიტორიების გათვალისწინებით. აღნიშნული სტრატეგიები არის 5 წლიანი და 2022 წლის 31 დეკემბერს სრულდება. მუნიციპალური სტრატეგიები გულისხმობს არსებული სურათის აღწერას და სამომავლოდ დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალს. ჩვენი მონიტორინგის სამიზნე მუნიციპალიტეტი ამ შემთხვევაში არის ხაშური, რომელმაც 2017 წელს დაამტკიცა ნარჩენების მართვის 5 წლიანი სამოქმედო სტრატეგია. შესაბამისად, საკმაოდ საინტერესოა, როგორი სიტუაცია იყო მუნიციპალიტეტში სტრატეგიის დამტკიცებამდე, ამჟამად როგორი სიტუაციაა, არამხოლოდ დოკუმენტურად, არამედ-მოსახლეობის შეფასებითაც. დამატებით მოხდა არსებული შედეგების შედარება იმ ინდიკატორებთან, რომლებიც მუნიციპალიტეტს 2017 წელს აქვს მიღებული. მონიტორინგისთვის გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით და დამუშავდა მუნიციპალური სტრატეგია და სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტაცია. დამატებით გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია იმ ინდიკატორების და პრობლემების მიხედვით, რაც მათ საჯარო დოკუმენტაციაში ჰქონდათ აღნიშნული. მონიტორინგმა ასევე მოიცვა ფოკუს დისკუსიის მეთოდით კვლევა და რაოდენობრივი კვლევა მუნიციპალიტეტში წინასწარ შერჩეულ გეოგრაფიულ არეალებში.

¹ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის; 27.06.14

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევა შეფასებითი ხასიათისაა და მიზნად ისახავს, შეისწავლოს ხაშურის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის შესრულების ეფექტურობა და შეიმუშაოს რეკომენდაციები პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახულია ორი ძირითადი ამოცანა:

მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნა კვლევის შერეული დიზაინი, რაც გულისხმობს მონაცემთა მოპოვების თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების კომბინირებულ გამოყენებას. აღნიშნული დიზაინი საშუალებას გვაძლევს, სიღრმისეულად შევისწავლოთ საკვლევი საკითხის თითოეული ასპექტი, რისი მიღწევაც შეუძლებელი იქნებოდა მხოლოდ თვისებრივი ან რაოდენობრივი მეთოდების საშუალებით.

შეფასების პირველ ეტაპზე ჩატარდა სამაგიდო კვლევა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა არაერთი ადგილობრივი თუ ნაციონალური მნიშვნელობის დოკუმენტის ანალიზი, რამაც მკვლევართა გუნდს საშუალება მისცა, საკანონმდებლო დონეზე შეესწავლა მუნიციპალიტეტში არსებული სიტუაცია ნარჩენების მართვის კუთხით.

შემდგომ ეტაპზე გამოყენებულ იქნა ფოკუს დისკუსიის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც რესპონდენტები სამიზნე სოფლებიდან და ქალაქიდან მკვლევარებს დაეხმარნენ, უფრო სიღრმისეულად ჩასწვდომოდნენ აღნიშნული კუთხით ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებულ მიღწევებს, გამოწვევებს და მიეღოთ რეკომენდაციები. სულ ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი, სადაც მონაწილეობა მიიღო ქალაქსა და სოფლად მცხოვრებმა რესპონდენტებმა, სულ ჯამში - 24.

კვლევის დასკვნითი ეტაპი დაეთმო ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლას რაოდენობრივი გამოკითხვის

საშუალებით, სადაც მონაწილეობა მიიღეს ქალაქსა და სოფლად მცხოვრებმა ადამიანებმა. საერთო ჯამში გამოიკითხა 320-ზე მეტი რესპონდენტი მთლიან მუნიციპალიტეტში.

რაოდენობრივი კვლევის შემთხვევაში გამოყენებული გვექონდა სამ დონიანი შერჩევა, რაც გულისხმობდა ალბათური და არაალბათური შერჩევის მეთოდების გამოყენებას. არაალბათური შერჩევის მეთოდის გამოყენება საჭირო გახდა იმისათვის, რომ თითოეული სრულწლოვანი მოქალაქისთვის მიგვეცა თანაბარი შანსი კვლევაში მოხვედრისა, ასევე ყველა თემისთვის რომ მიგვეცა კვლევაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა, რადგან ხაშურის მუნიციპალიტეტი შედგება ერთი დაბისგან, 10 აქტიური თემისგან (მუნიციპალიტეტი შედგება 11 თემისგან, თუმცა 1 თემი თითქმის დაცლილია მოსახლეობისგან), შესაბამისად, საჭირო იყო ყველა თემის ჩართულობა პროპორციულად, თანაბრად განგვესაზღვრა კვლევაში, რის შემდგომაც უკვე გამოვიყენეთ ისევ არაშემთხვევითი შერჩევის პრინციპი და თემებში ადმინისტრაციული სოფლები, სადაც მერის წარმომადგენლების ოფისებია, კვლევაში მონაწილეობისთვის იქნა შერჩეული, რადგან ადმინისტრაციულ სოფლებში ყოველთვის მეტი მოსახლე ცხოვრობს და პრობლემები თემს აქვს ერთგვაროვანი, რაც გვადლევს იმის საშუალებას, რომ თითოეული ადმინისტრაციული სოფლის მონაცემები თემზე იყოს განზოგადებული. მესამე შერჩევას რაც შეეხება, ველზე ხდებოდა მარტივი შერჩევის პრინციპით, ბიჯის გამოყენებით გამოკითხვის ჩატარება. ბიჯი ყოველ შერჩევის წერტილზე განსხვავებული იყო და ინდივიდუალური დავალების საფუძველზე ინტერვიუერებს ველზე ეძლეოდათ. ბიჯი იყო 3 (სამი) და 5 (ხუთი),

კვლევის ანგარიში

სამაგილო კვლევა

2014 წელს საქართველომ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ, აიღო ვალდებულება, რომ მთელ რიგ საკითხებთან და მათ შორის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, საკუთარი კანონმდებლობა მაქსიმალურად დაუახლოვოს ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზას და იზრუნოს მიღებული კანონების ეფექტურ აღსრულებაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა ამავე წელს მიიღო ნარჩენების მართვის კოდექსი², რომელიც ძალაში 2015 წლის იანვრიდან შევიდა და სამართლებრივი საფუძველი შექმნა აღნიშნულ სფეროში³.

კოდექსის მიხედვით, ნარჩენების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროა, რომლის მიერ 2016 წელს შემუშავდა ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია⁴ (ნმეს). აღნიშნულ სტრატეგიასთან ერთად, რომელიც 15 წლიან პერიოდს (2016-2030) მოიცავს, შემუშავდა პირველი 5 წლიანი სამოქმედო გეგმა (2016-2020). აღსანიშნავია, რომ ორივე დოკუმენტი ექვემდებარება პერიოდულ განახლებას.

ქვეყნის ტერიტორიაზე (გარდა თბილისისა და აჭარის ა/რ) არასახიფათო ნაგავსაყრელების მოწყობას და მართვას ახორციელებს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული შპს „მყარი ნარჩენების კომპანია“, ხოლო ნარჩენების გატანას და უშუალო მართვას მუნიციპალიტეტები აწარმოებენ. შესაბამისად, მუნიციპალიტეტებისთვისაც სავალდებულოა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება⁵.

² საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნარჩენების მართვის კოდექსი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=9>

³ 2015 წლამდე საქართველოში, ნარჩენების მართვა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით რეგულირდებოდა და შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროში არ არსებობდა უნიფიცირებული მიდგომა, რაც პირდაპირპროპორციულად აისახებოდა ნაგავსაყრელების სავალდებულო მდგომარეობა და მათი განთავსების სტიქიურობაზე.

⁴ საქართველოს მთავრობა, საქართველოს მთავრობის 160-ე დადგენილება http://gov.ge/files/55440_55440_810817_convert-jpg-to-pdf.net_2016-05-05_14-41-01.pdf

⁵ ნარჩენების მართვის კოდექსი, 2015 თავი III, მუხლი 13

ამ მხრივ, გამონაკლისი არც ხაშურის მუნიციპალიტეტია, რომელმაც საკუთარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა (2018-2022) 2017 წელს მიიღო.

ამ პერიოდში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, 67 დასახლებული პუნქტიდან ხდებოდა ნარჩენების გატანა, რომელიც 1 ქალაქის ტიპის დასახლებას, 1 დაბას და 65 სოფელს ემსახურებოდა. ნარჩენების შეგროვება ძირითადად ხდებოდა ე.წ. ზარის პრინციპით და ჯამში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 556 ცალი 1.1 მ³ მოცულობის ურნა იყო განთავსებული. მოსახლეობის საერთო რაოდენობა კი - 52 495 ადამიანი. სტრატეგიის შემუშავებისთვის მუნიციპალიტეტს არ გააჩნდა ნარჩენების დახარისხების ან სეპარირების სისტემა, ასევე სტიქიური ნაგავსაყრელების მონიტორინგის და დახურვის ფაქტები არ გვხვდება სტრატეგიაში არსებული სიტუაციის მიმოხილვის ნაწილში.

ნარჩენების მართვის 5 წლიან გეგმას აქვს საკმაოდ ფართო მიზანი და 10 ამოცანა, რომელთა გადაჭრის გზითაც უნდა გაუმჯობესდეს არსებული სიტუაცია და 2022 წლის ბოლოს მიღწეული იყოს ის მიზანი, რაც დაისახა მუნიციპალიტეტმა 2017 წელს. ხაშურის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სტრატეგიის მიზანია - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის პროცესის დაგეგმვა ნარჩენების ინტეგრირებული მართვის თანამედროვე პრინციპებისა და მიდგომების მიხედვით. ნარჩენების მართვის ისეთი სისტემის შემუშავება და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის, კომერციული ობიექტებისა და ადგილობრივი საწარმოებისათვის ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურების მიწოდებას. ასევე, ხაშურის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივ დანერგვას და გამართულ ფუნქციონირებას, უკანონო ნაგავსაყრელის დახურვა-რემედიაციას, გარემოს ნარჩენებით დაბინძურების პრევენციის მიზნით დაჯარიმების სისტემის ეფექტიან ამუშავებას. ასევე, ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების ამოღების ეფექტიანი სისტემის დანერგვასა და მის გამართულ ფუნქციონირებას. ასევე ნარჩენების შემცირების, ხელახალი გამოყენების და რეციკლირება/აღდგენის პროცესების ხელშეწყობას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა მიმართულია შემდეგი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტასა და შედეგების მიღწევაზე:

- ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის (მონაცემების შეგროვება და მონაცემთა ბაზა) ჩამოყალიბება 2018-2019 წლებისთვის;
- ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (მათ შორის, როგორც მოსახლეობის, ისე კომერციული ობიექტების და საწარმოების საკმარისი რაოდენობის კონტეინერებით, ნარჩენების გატანის საკმარისი სიხშირით უზრუნველყოფა) მიწოდება მოსახლეობისათვის, კომერციული ობიექტებისა და არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
- ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
 - o მუნიციპალური ნარჩენები 95% 2021 წლისთვის;
 - o სახიფათო მუნიციპალური ნარჩენები 50% 2021 წლისთვის;
- ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირების ხელშეწყობის საქმიანობების განხორციელება (კომპოსტირების პრაქტიკის ფართო დანერგვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე);
- ქაღალდის და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2020 წლისთვის;
- ქაღალდის პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
 - o ქაღალდი 35% 2021 წლისთვის;
 - o პლასტიკი 35% 2021 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის თანამშრომლების უნარ-შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის კუთხით;
- ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემთხვევებში ეფექტიანი საქმისწარმოება, საჯარიმო სანქციების სისტემის აქტიური ამუშავება;

- ხაშურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2018-2020 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე, მათი მომზადება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის დანერგვის კუთხით;⁶

კონსორციუმის წევრმა ორგანიზაციებმა ხაშურის მუნიციპალიტეტისგან გამოითხოვეს ინფორმაცია იმ ინდიკატორების შესრულების მონიტორინგისთვის, რომელიც ხუთწლიანი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში უწერია მერიას. პირველ რიგში, საინტერესოა სტიქიური ნაგავსაყრელების საკითხი, თუმცა როგორც მერიამ აღნიშნა ოფიციალურ წერილში, 2021 წლის მდგომარეობით 2017 წლის შემდგომ სტიქიური ნაგავსაყრელის დახურვის ფაქტი არ დამდგარა. მიუხედავად ამისა, სტრატეგიულ გეგმაში, ზოგადი სიტუაციის აღწერის ნაწილში, ვხვდებით შემდეგი სახის ჩანაწერს: - დაბინძურების კერად გამოიყო ქ. ხაშურში გაგარინის ქუჩის გაგრძელება, საავტომობილო გზის ორივე მხარეს 20 ჰა მიწის ფართობზე, ასევე მდ. მტკვრის ორივე სანაპირო, სადაც ძირითადად სამშენებლო ნარჩენებია, თუმცა საყოფაცხოვრებო და პლასტიკური ნარჩენებიც მრავლადაა ტერიტორიაზე, რომლის დაბინძურებაც ხდება ავტომობილებიდან და მოსახლეობის მიერ ნარჩენების გადაყრის შედეგად⁷. სანაგვე ურნების განთავსებას რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ 2017 წელთან შედარებით ნარჩენების შესაგროვებელი 1.1მ³ მოცულობის ურნების რაოდენობა 300 ცალით არის გაზრდილი, თუმცა როგორც რაოდენობრივი და ფოკუს კვლევა გვიჩვენებს, ეს რაოდენობა კვლავ მცირეა მოსახლეობისთვის, ამავე კვლევების მიხედვით, სერვისის გაუმჯობესების მიზნით, გადასახადების გადახდა ნაკლებად ხიბლავს მოსახლეობას⁸. ნარჩენების მართვა მუნიციპალიტეტს თითქმის ერთი მილიონი ლარი უჯდება ყოველწლიურად, უფრო ზუსტად, 926 000 (ცხრაას-

⁶ მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგია, ხაშური, 2017 წელი

⁷ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა

⁸ მკვლევარის შენიშვნა

ოცდაექვი ათასი) ლარი, რაც არის მთლიანი ბიუჯეტის 5.26%. შესაბამისად, სტრატეგიის ერთ-ერთი ამოცანა, სწორედ მოსაკრებლის ამოღების ეფექტური სისტემის დანერგვა იყო, რაც ამ ეტაპზე, მოსაკრებლის სიმცირის გამო, მისი სრულად ამოღების შემთხვევაშიც კი ხარჯების მხოლოდ 35% ფარავს და ამიტომ, ნარჩენების მართვა სუბსიდირებას საჭიროებს. 2021 წლის მდგომარეობით მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი 140 400 (ასორმოცი ათას ოთხასი) ლარია, რაც მთლიანი დანახარჯების დაახლოებით 15%-ს შეადგენს. თუმცა, ეს მაჩვენებელი აღებულია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების გადასახადების გაერთიანებიდან. მხოლოდ ფიზიკური პირების მიერ გადახდილი გადასახადი 76 630 ლარს შეადგენს, რაც მთლიანი დანახარჯი ბიუჯეტის 8.4%-ია და 4-ჯერ ჩამოუვარდება იმ მინიმუმ მაჩვენებელს, რაც მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით შეიძლება, შეგროვდეს მუნიციპალიტეტში წლიურად. მოწოდებული ციფრების სტატისტიკაზე დაყრდნობით, იკვეთება, რომ ნარჩენების მართვის მოსაკრებელს მოსახლეობის ¼ იხდის რეგულარულად, რაც სისტემის არაეფექტურობით არის გამოწვეული და საჭიროებს დამატებითი ბერკეტებისა და რეგულაციების შემუშავებას, რათა სუბსიდირების განაკვეთი იყოს შემცირებული მერიის მხრიდან.

რეციკლირება, გადამუშავება, პლასტიკური ნარჩენების შემცირება რამდენიმე ამოცანის შემადგენელი ნაწილი იყო, ამ ეტაპზე არ არის განხორციელებული და წინასწარი პროგნოზით 2022 წლის ბოლოსაც ვერ შესრულდება, რაც მუნიციპალური სტრატეგიის ამოცანის შეუსრულებლობას გამოიწვევს. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ეტაპზე სეპარირებისა და გადამუშავებისათვის მხოლოდ მუნიციპალური ძალები არასაკმარისია და ნმეს-ის⁹ ქმედუნარიანობის გაზრდა არის საჭირო ეროვნულ დონეზე, რაც გულისხმობს შესაბამისი სერვისების დანერგვასაც. აქვე აღსანიშნავია, რომ კომპოსტირების მიმართულებით, პირდაპირი გზით არ ხდება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, თუმცა ზოგადად, ნარჩენების მართვის კუთხით, ცნობიერების ასამაღლებლად მუნიციპალიტეტი იყენებს ბეჭდურ მედიასა და ტელე/რადიო გადაცემებს.

⁹ ნმეს - ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია

სამაგიდო კვლევამ ძირითადად გამოკვეთა ის გამოწვევები, რაც 2017 წლის მონაცემებით იდგა ხაშურის მუნიციპალიტეტის წინაშე და რისი გაუმჯობესების ამოცანებიც დაისახა 2018-2022 წლების ნარჩენების მართვის მუნიციპალური სტრატეგიით. ამოცანების ნაწილში, მდგომარეობა 2017 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული. სამაგიდო კვლევის პარალელურად განხორციელებული მონიტორინგისა და სხვადასხვა კვლევების შედეგად გამოიკვეთა, რომ დახურული სტიქიური ნაგავსაყრელები უფუნქციოა და აღარ ხდება მათი დაბინძურება, გაზრდილია ნაგვის ურნების რაოდენობა და ნარჩენების გამოტანის მოცულობა და სიხშირე, ასევე გაუმჯობესებულია მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელიც 2017 წელთან შედარებით, რაშიც ერთიანი საგადასახადო სისტემის დანერგვა დაეხმარა მუნიციპალიტეტს. მიუხედავად იმისა, რომ თანდათანობით ხდება მონაცემების გაუმჯობესება, იმ ამოცანების სრულად განხორციელება, რაც დასახული აქვს მუნიციპალიტეტს, სამწუხაროდ, 2022 წლის დასასრულისთვის ვერ მოხერხდება. ცალკე აღსანიშნავია ის რიგი ამოცანები, რომლის განხორციელებაზე მუშაობა არც კი დაწყებულა და ფაქტიურად, ამ მიმართულებით ეფექტური ნაბიჯები ვერ გადაიდგა. კერძოდ, მუნიციპალური ნარჩენების ხუთწლიანი გეგმიდან ვერ შესრულდა კომპოსტირების დანერგვის ამოცანა, რომლის საშუალებითაც ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირება იყო განსაზღვრული. ასევე ვერ შესრულდა რეციკლირების ორი ამოცანა, კერძოდ, ვერ მოხერხდა სეპარირების დანერგვა მუნიციპალიტეტში, რომლის საშუალებითაც, თავისთავად უნდა მომხდარიყო ქაღალდისა და პლასტიკის შემცირება, მათი რეციკლირება. შესაბამისად, ამოცანაში ჩასმული პროცენტული მაჩვენებლები (ქაღალდისა და პლასტიკის შემცირება 35-35%) ვერ იქნა მიღწეული, სეპარირებისა და ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შესახებ გაწერილი ამოცანები ვერ იქნა შესრულებული. საჯარიმო სანქციების შესახებ ამოცანა არ შესრულებულა. მუნიციპალიტეტს არ აქვს არანაირი ოქმი, რომელიც ფიზიკური ან იურიდიული პირის დაჯარიმების ფაქტს ასახავს, ხოლო მუნიციპალიტეტში დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა დაბინძურების კერები, რომელთა მონიტორინგისა და საჯარიმო სისტემის შესახებ ინფორმაცია არ აქვს არც მოსახლეობას და არც თავად მუნიციპალიტეტშია რაიმე შემთხვევა აღწერილი,

თუმცა მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ ტერიტორიები დაბინძურებულია. ერთ-ერთი ამოცანა იყო ნარჩენების მოსაკრებლის სრულად ამოღება და ერთიანი სისტემის შექმნა, რომელიც 2020 წელს უნდა დასრულებულიყო, თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მხოლოდ 35%-ია მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი, საიდანაც 25%-ზე მეტი იურიდიული პირებისგან შემოდის. ბოლო ამოცანა, რომელიც მუნიციპალიტეტს გეგმაში ეწერა არის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. შეხვედრებით, სხვადასხვა კამპანიებით, სეპარირებისა და კომპოსტირების შესახებ ინფორმაციის მიწოდება - აღნიშნული ამოცანაც ვერ შესრულდა, რადგან არ გვხვდება არანაირი ოქმი მსგავს საკითხზე მოსახლეობასთან შეხვედრისა და გასაუბრებისა.

საბოლოო შეჯამებისათვის უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ COVID-19-მა რიგი ფაქტორები წარმოშვა, რომელმაც თავისი უარყოფითი გავლენა იქონია თუნდაც მოსახლეობასთან შეხვედრის, მოსაკრებლის ამოღების ან სხვა მიმართულებებზე, მაგრამ ის პოზიტიური ცვლილებები და გაუმჯობესება რაც ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს, გარკვეულ დადებით მოლოდინს აჩენს. შესაბამისად, გაწერილი ამოცანები, რომლებიც შესრულდა იძლევა იმის იმედს, რომ მუნიციპალიტეტს შეუძლია შემდგომ წლებში იმუშაოს იმ დასახული ამოცანების მისაღწევად, რაც 2022 წლისთვის ვერ მოახერხა, თუმცა დრო იმაზე ნაკლებია დარჩენილი განხორციელებისათვის, ვიდრე ეს 2022 წლამდე ჰქონდათ (2023 წელს საქართველომ უნდა გააკეთოს ხელახალი განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე, თუმცა თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა 2025 წლისთვის ევროკავშირის რეკომენდაციების შემუშავებას და მის ევროკავშირის რეგულაციებთან შესაბამისობას, საიდანაც ერთ-ერთი ნარჩენების მართვას და იმ სტანდარტებთან დაახლოებას ითვალისწინებს, რისთვისაც შეიქმნა თუნდაც მუნიციპალური ნარჩენების ხუთწლიანი გეგმა, შესაბამისად, თითოეული გეგმის არშესრულება იწვევს შეფერხებას საქართველოს ევროკავშირის წევრობისკენ მიმავალ გზაზე).

ფოკუს დისკუსიის ანალიზი

ფოკუს ჯგუფი გაიმართა წინასწარ შერჩეულ სამიზნე ერთეულებში. კერძოდ, ერთმა ჯგუფმა მოიცვა ქალაქ ხაშურში მცხოვრები რესპონდენტები, მეორე ჯგუფმა - დაბა სურმაში მცხოვრებნი და მესამე ჯგუფმა - სოფ. ოსიაურში, გომსა და ცხრამუხაში მცხოვრებნი. ფოკუს ჯგუფში სულ ჩართული იყო 24 რესპონდენტი და ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 90 წუთს. ფოკუს ჯგუფები ჩატარდა დისტანციურად, პლატფორმა ზუმის გამოყენებით, სადაც შესაძლებელი იყო აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გაკეთება. ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა იყო კონფიდენციალური და ჩანაწერები გამოყენებულ იქნა მხოლოდ ზოგადი ანალიზის სახით, რომელიც არის კონფიდენციალური და არ ექვემდებარება განსაჯაროებას.

ფოკუს დისკუსია შედგებოდა ოთხი ძირითადი ბლოკისგან, სადაც საუბარი იყო ზოგადი სიტუაციის მიმოხილვაზე, უკანონო ნაგავსაყრელებზე, მოსახლეობის დამოკიდებულებასა და სამომავლო პერსპექტივებზე, ბოლოს კი ვთხოვდით, მოეცათ რეკომენდაციები, რომელსაც ანალიზის ბოლოში წარმოგიდგენთ.

1. პროექტის მიზნის და ერთმანეთის გაცნობის შემდგომ დისკუსიის პირველი ბლოკი შეეხებოდა არსებული სიტუაციის ზოგად მიმოხილვას, შესრულებული სამუშაოების შესახებ საუბარს და ზოგადი ინფორმაციის შეკრებას. დისკუსიის ნაწილში საუბარი შეეხო ნაგვის ურნების განთავსებას. ქალაქის მოსახლეობის ნაწილი საუბრობს, რომ ურნები, როგორც წესი, საკმაოდ ახლო-ახლო დგას და მხოლოდ ცალკეული უბნებია, სადაც ერთმანეთისგან დაშორებით დგას, თუმცა თითქმის უმრავლესობა აღნიშნავდა ურნების გადავსების პრობლემას ხაშურის ცენტრალურ უბნებშიც კი და მდინარე სურამელას დაბინძურების ფაქტს, თუმცა, ამაზე ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ. **„ჩემთან სოფელში, არის განთავსებული ნაგვის ურნები ყველა უბნის შესასვლელთან, ჩემი სახლიდან საკმაოდ მოშორებით არის, თუმცა არიან მოსახლეები, ვის სახლთანაც საკმაოდ ახლოს არის ნაგვის ურნები“** (ფოკუს ჯგუფი #2). სოფლად მცხოვრები რესპონდენტები საუბრობდნენ, რომ ცენტრალ ქუჩებში ურნები საკმაოდ ახლოს დგას ერთმანეთთან, 200 - 300 მეტრში ან უფრო ნაკლებზე, თუმცა შიდა გზებსა და უბნებში არ არის განთავსებული, რაც

შემდგომ იწვევს ცენტრალურ გზებზე სანაგვე ურნების გადავსებას, რადგან არაა გათვლილი შიდა საუბნო გზებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის. *„ჩვენთან, უშუალოდ, ქალაქში ბევრი ურნა დგას, მაგრამ რაც შეეხება ჩემს ქუჩას და უბანს ერთი ურნაც არ დგას, საკმაოდ შორს გვიწევს წასვლა, რომ ნაგავი გადავყაროთ“* (ფოკუს ჯგუფი #2), გამომდინარე აქედან, სანაგვე ურნების რაოდენობა არასაკმარისად მიაჩნია ფოკუს დისკუსიაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობას, რადგან მათმა ¾-მა გაიხსენა მუდმივი პრობლემა - გადავსებული ურნები, რაც საკმაოდ მწვავეა მათთვის, რადგან როგორც საუბრისას გამოიკვეთა, გადავსებულ ურნებთან უწევთ ნარჩენების დატოვება, რაც შემდგომ შინაური ცხოველების მიერ იფანტება და ბინძურდება მიმდებარე ტერიტორია. *„ჩვენს უბანში აქვე ახლოს 3 ურნა დგას, მაგრამ ზოგჯერ არის ხოლმე მომენტი, - არ ვიცი ძაღლების ბრალია, გარე ფაქტორების ბრალი თუ რისი, ზოგჯერ არის ხოლმე მომენტი, - რომ ძირსაც ძალიან ბევრი ნაგავი ყრია. მაგალითად, მე ვცხოვრობ რკინიგზის კლუბთან და გვერდით არის პატარა სვერი, სადაც ძალიან ხშირად გვინახავს დაბინძურებული გარემო“* (ფოკუს ჯგუფი #3), *„სიახლოვე არის, ურნები არის, მაგრამ არ სუფთავდება დროულად, ხშირად სავსეა და დასუფთავების შემდეგ ზოგჯერ შუა ქუჩაში ტოვენ ხოლმე იმ ურნას“* (ფოკუს ჯგუფი #2). ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით, რაც იწვევს ურნების გადავსებას, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სოფლებში 3-4 დღეში ერთხელ იცლება, თუმცა როდესაც იცლება ურნა, მათი თქმით, იმდღესვე ივსება და ფაქტობრივად, მუდმივად გადავსებულია და არ არის საკმარისი კვირაში ნარჩენების 2-3-ჯერ გატანა, განსაკუთრებით კი ზაფხულის პერიოდში. - *„სურამში ტურისტულ სეზონზე გვაქვს პრობლემა. დანარჩენი განლაგებული ყველგან არის და კარგად არის...“* (ფოკუს ჯგუფი #1). ქალაქის ნაწილს რაც შეეხება, იყვნენ რესპონდენტები, რომელთა ნაწილი აღნიშნავდა, რომ ყოველდღიურად იცლებოდა და თითქმის არ იყო გადავსებული ურნების პრობლემა, ხოლო მეორე ნაწილი საუბრობდა, რომ ორ დღეში ერთხელ იცლება ურნები და მუდმივად დგას გადავსებული ურნის პრობლემა, რის გამოც მოსახლეობა შემდგომ მდინარეში ყრის ან მიუსაფარი ცხოველების მიერ გაფანტული ნარჩენი ხვდება არხებსა და მდინარეში - *„ისეთ ადგილზე ვცხოვრობ, საკმაოდ დიდი ქუჩა არის და ერთი სანაგვე ურნა არის*

განთავსებული და ცოტა ურნების დეფიციტს ქმნის. თან გზის პრობლემა არის და ეს ურნები მოხრეშილ ადგილას დგას, ურნის დაცლის პრობლემა არის, ნორმალურად ვერც ცლიან, ნახევარი ძირს იყრება და შემდეგ უკვე მაცხოვრებლები ვასუფთავებთ იმ ტერიტორიას“ (ფოკუს ჯგუფი #1).

დისკუსიის მეორე ბლოკი უკანონო ნაგავსაყრელებსა და მოსახლეობის ქცევას შეეხებოდა. თითქმის გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ სანაგვე ურნების დადგმამ სოფლებსა და ქალაქში ხელი შეუწყო თავისთავად სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირებას და აღკვეთას. თუმცა 1/3 აღნიშნავდა, რომ მდინარე სურამელა და არხები მაინც დაბინძურებულია. *„დასახლებულ პუნქტებში არის რამდენიმე უკანონო ნაგავსაყრელი, ისე ბევრი ნაგავსაყრელია, ძალიან ბევრი. მთელი ქალაქის შემოგარენი არის უკანონო ნაგავსაყრელი ფაქტიურად. აი, სადაც ოფიციალური ნაგავსაყრელია, იმის გარშემოც უკანონო ნაგავსაყრელებია. ბევრია, ბევრი ნაგავსაყრელია და ყველა დამეთანხმებით, ქალაქის ცენტრში გვაქვს კიდეც - მდინარე ნაგავსაყრელი“* (ფოკუს ჯგუფი #1).

ქალაქის ცენტრში მდებარე ქუჩები, სადაც მდინარე მიედინება, არის დაბინძურებული და ფაქტობრივად, უკანონო ნაგავსაყრელებია. ასევე კამათი გამოიწვია იმ ფაქტმაც, რომ გადავსებულ ურნასთან ნარჩენების დატოვება არის იგივე უკანონო ნაგავსაყრელად ადგილების გადაქცევის მცდელობა, რადგან ამ შემთხვევაში ივანტება ნარჩენები და დასუფთავების სამსახური მხოლოდ ურნებს ცლის, ხოლო მიმდებარე ტერიტორიები არ სუფთავდება, რაც იწვევს უსიამოვნო სუნს და გარემოს დაბინძურებას. *„ამ ეტაპზე, ჩემს სოფელში ნამდვილად არ ვიცი არსად. არ არსებობს, არსად შემიმჩნევია, რადგან ნაგვის ურნებიდან გამომდინარე. ყველა მოსახლე, თუ არ არის ნაგვის ურნაში ადგილი, გვერდით მაინც მოულაგებს, როგორც ასეთი უკანონო ნაგავსაყრელი სოფელში არსად არის“* (ფოკუს ჯგუფი #2) - მხოლოდ მცირე ნაწილი საუბრობდა, რომ ნარჩენების დატოვება ურნასთან არ აბინძურებს გარემოს და სხვა გზა არ აქვთ მათ, რადგან მუდმივად გადავსებულია ურნები და მდინარეში გადაყრას, ისევე ურნასთან დატოვება ჯობია - *„ჩემთანაც იგივეა, მე არ მინახავს, მაგრამ ერთს დავამატებ, ჩემს დასახლებასთან ახლოს არხი ჩამოდის და შემიმჩნევია, რომ მოსახლეობა, ნუ ეს რა თქმა უნდა მაგათი*

თვითშეგნების საკითხია, მაგრამ გამოსულა და ჩაუყრია. არის კი ასეთი შემთხვევები ... არც მე არ მაქვს ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „სურამულა“ ჩემ სახლთან საკმაოდ ახლოს არის და რომ გადაიხედავ, ნაგვით არის სავსე, ფაქტია, რომ ბევრი ადამიანი ყრის ნაგავს სურამულაში“ (ფოკუს ჯგუფი #2). ინდუსტრიულ ნარჩენებზე და იურიდიული პირების მხრიდან გარემოს დაბინძურებაზე დასმულმა შეკითხვამ მხიარულება გამოიწვია რესპონდენტების ერთ ნაწილში, რადგან როგორც აღნიშნავენ - „სამწუხაროდ ინდუსტრია მკვდარია ხაშურში, არაფერი არ იწარმოება და ხალხი ვერ მუშაობს, ვისურვებდი რომ დღევანდელი ფოკუს ჯგუფი ინდუსტრიული ნარჩენებისგან გამოწვეულ პრობლემებს შეეხებოდეს, რადგან ხალხს სამუშაო მაინც ექნებოდა ... რა ინდუსტრიაზე არის საუბარი, არაფერი არ არის ხაშურში და შესაბამისად, ნაგავიც არ არის, წარმოება არ არის, დაბინძურებაც არ არის= მარტივია“ (ფოკუს ჯგუფი #2). აქვე იყო საუბარი ჯარიმებსა და საჯარიმო სისტემებზე, თუმცა ვერავინ გაიხსენა ფაქტი ვინმეს დაჯარიმების შესახებ, ასევე მხოლოდ 1/2 - ს ჰქონდა ინფორმაცია საჯარიმო სისტემებზე, მეორე ნაწილმა არც კი იცოდა და მხოლოდ ზოგადი საპატრულო პოლიციის ჯარიმების შესახებ ჰქონდა ინფორმაცია. „საჯარიმო სანქციები არის, როგორც ვიცი, უბრალოდ, არავინ მინახავს დაჯარიმებული“ (ფოკუს ჯგუფი #1), „მეც არ შემიმჩნევია მსგავსი ფაქტი, მაგრამ ჯარიმები რომ არის ეგ კი მსმენია, მაგრამ ჩემ გარშემო არ ყოფილა შემთხვევა“ (ფოკუს ჯგუფი #3). გამომდინარე იქიდან, რომ ბლოკი უკანონო ნაგავსაყრელებს ეხებოდა, აქვე ვეკითხებოდით სასმელი წყლის ხარისხით კმაყოფილებაზე. სასმელი წყლით კმაყოფილი არაცერთი რესპონდენტი არ ყოფილა. როგორც მათ აღნიშნეს, სოფლადაც და ქალაქადაც გრაფიკით მიწოდებაზე არიან დამოკიდებული და წყლის მარილიანობა მაღალია. გრუნტის წყლების გამოყენება საკმაოდ დაბალია, რადგან მარილიანობის მაღალი შემცველობის გამო ტექნიკურად გამოუყენებელია: „მე აღმაშენებლის ქუჩაზე ვცხოვრობ და მოგვეწოდება ქალაქის წყალი ონკანით. დასალევად არის უფარგისი, სულ ნალექითაა სავსე, მაშინვე ეცვლება ფერი, როგორც ჩანს, სადღაც რაღაც ხდება, წყალმომარაგების კომპანიიდანაც რამდენჯერმე გამოვიძახეთ წარმომადგენელი, აიღებდნენ სინჯის ანალიზს, გავა რაღაც პერიოდი, ისევ სასმელად

უვარგისია. მარტო ვხმარობთ სარეცხისთვის და ა.შ. დასალევ წყალს, 7 წელია მაგ უბანში ვცხოვრობ და სულ ვყიდულობთ“ (ფოკუს ჯგუფი #3), „ჩემთან ჭიდან არის, მაგრამ ვერ გეტყვით, როგორ აკმაყოფილებს ზემოთ თქმულ პირობებს. იმიტომ, რომ არ გვაქვს ინფორმაცია. ერთადერთი იმას გეტყვით, რომ არის ძალიან მარილიანი წყალი“ (ფოკუს ჯგუფი #2), „ორი სათავე ნაგებობა გვაქვს ქალაქში, ქალაქის გაყვანილობა, რომელიც კატასტროფულ მდგომარეობაშია, ქალაქის ნახევარში მილებიც არ არის, არა თუ გრაფიკით არის წყალი, მილებიც არ არის, რაშიც წყალმა უნდა გაიაროს. ქალაქის დიდ ნაწილში, წყალი მოდის დილით, დაახლოებით ერთი საათით. არის რამდენიმე უბანი, სადაც წყალი მოდის დღეში ორჯერ და წელან არ ვიცი ვინ ამბობდა ტექნიკური წყალი მოდისო, არის უბნები, სადაც ტექნიკურად არ არის ის წყალი, ფიზიკურად რომ შეხედავ, არ შეიძლება მაგის გამოყენება, დასაბანადაც არ შეიძლება, ვიზუალურად თეთრია... არის ადგილები, სადაც სუნი აქვს წყალს და ეტყობა, რომ მღვრიაა და შენარევია“ (ფოკუს ჯგუფი #1).

სასმელი წყალი საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემა აღმოჩნდა ნარჩენების მართვის კვლევის მონიტორინგისას და გარდა იმისა, რომ გრუნტის წყლები ხშირ შემთხვევაში სასმელად გამოუსადეგარია, წყალმომარაგების სისტემაც კი არ არის გამართული, არ არის საუბარი მხოლოდ გრაფიკით მიწოდებაზე, საუბარია წყლის დაბინძურებაზე და საერთოდ ვერ მიწოდებაზე მოსახლეობისთვის. აღნიშნული მიგნება საჭიროებს სიღრმისეულ ლაბორატორიულ კვლევებს და შესაბამისი უწყების მუშაობის მონიტორინგს, რადგან ფოკუს ჯგუფებისას და რაოდენობრივ კვლევის შემთხვევაშიც სასმელი წყლის დაბინძურების პრობლემა ყველაზე მწვავედ ვლინდება.

ფოკუს ჯგუფის მესამე ბლოკი შეეხებოდა მოსახლეობის ქცევის შესახებ შეკითხვებს, კერძოდ, გადავსებული ურნის შემთხვევაში როგორ იქცევიან, რა ტიპის ნარჩენებს ყრიან ურნაში და ა.შ. გადავსებულ ურნებთან დაკავშირებით, ზემოთაც ვისაუბრეთ, რომ ურნების გადავსებულობა არის ძირითადი პრობლემა, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობა ურნასთანვე ტოვებს ნარჩენებს. ნაწილი ამბობდა, რომ ცდილობს ძალიან ჩატენოს ნაგავი ურნაში, მაგრამ თუ ვერ გამოუვიდა - ტოვებს ურნასთან პოლიეთილენის პარკით - „ჩვენთან უბანში თუ გაივსო ურნა, რაც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად არის ხოლმე სავსე იმიტომ, რომ ძალიან დიდი

უბანია და მხოლოდ ერთი ურნა დგას და შემდეგ მოსახლეობას ახლოს გვაქვს „სურამულა“ მდინარე, სამწუხაროდ, იქ ყრიან შემდეგ იმ ნაგავს, რაც ძალიან სამწუხაროა და მიუღებელი პირადად ჩემთვის და იქ მცხოვრები ადამიანებისთვის, ვინც სურამულას ნაპირთან ვცხოვრობთ“ (ფოკუს ჯგუფი #1), „ვედილობ ხოლმე რომ შიგნით მოვათავსო, მაგრამ თუ არ არის ადგილი იქვე ურნასთან დავტოვებ“ (ფოკუს ჯგუფი #3). ურნაში მოსახლეობა ყრის ყველანაირ ნარჩენს „ყველა სახის ნარჩენი იყრება სამშენებლო ნარჩენების გარდა, რადგან იმდენად ცუდ დღეშია გზები, რომ ორმოების ამოსავსებად იყენებენ ხშირად ნარჩენებს“ (ფოკუს ჯგუფი #2). რესპონდენტების ძალიან მცირე ნაწილს - 1/10-ს ჰქონდა ინფორმაცია კომპოსტირებასთან დაკავშირებით, მათგან მხოლოდ 1-მა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ უცდია კომპოსტის დამზადება, მაგრამ არ გამოუვიდა არასაკმარისი ცოდნის გამო - „მე ვცადე გასულ წელს კომპოსტის დამზადება, ინტერნეტში მოვიძიე რაღაც ინფორმაციები, მაგრამ ძალიან ამიყროლდა და ვერ გავიგე როგორ უნდა გამეგრძელებინა მუშაობა, ამიტომ მომიწია მისი გადაყრა...“ (ფოკუს ჯგუფი #2). სტიქიურ ნაგავსაყრელებსა და მათ შენარჩუნებაზე ამ ნაწილშიც ვუსვამდით შეკითხვებს, თუმცა კვლავ უმრავლესობა იგივეს აღნიშნავდა, რაზეც ზემოთ ნაწილში ვისაუბრეთ, ბინძურდება მდინარეები, არხები და ნაგვის ურნების მიმდებარე ტერიტორიები - „როგორც ასეთი ვიღაცამ გაიტანოს და დაყაროს სოფლის განაპირას სპეციალურად ან სხვა ადგილებში აღარ ხდება, რადგან ურნები დგას და იქ ვყრით, კი, თუ გადავსებულაა გარშემო ვულაგებთ და ესეც უკანონო ნაგავსაყრელის ერთ-ერთი ფორმაა ჩემი აზრით, ასევე ნაწილი მოსახლეობის ყრის მდინარეში ნარჩენებს ... მიუხედავად ამისა, უმრავლესობა მაინც ურნებში ან ურნებთან ტოვებს ნარჩენებს“ (ფოკუს ჯგუფი #2). დისკუსიის ამ ნაწილმა გამოიკვეთა გადავსებული ურნების სიმწვავე, რაც საკმაოდ მწვავედ დგას ხაშურის მუნიციპალიტეტში, აღნიშნული ფაქტორი კი გავლენას ახდენს, რესპონდენტების შეფასებით, მდინარისა და ნაგვის ურნების მიმდინარე ტერიტორიების დაბინძურებაზე - „ხშირად მეც დამმართნია იგივე და შემთხვევია იგივე პრობლემა, თუმცა მაქსიმალურად მიცდია, რომ ურნაში მაინც ჩამეტია ის ნაგავი პარკით, მაგრამ თუ გამოუვალი მდგომარეობაა ვტოვებ, გინდა არ გინდა ტოვებ, სახლში ვერ წაიღებ, მითუმეტეს ვცხოვრობ კორპუსში, რომელსაც აივანიც

კი არ აქვს სხვა გზა არ არის, სამწუხაროდ“ (ფოკუს ჯგუფი #2). კომპოსტირების კუთხით, ფაქტობრივად, მოსახლეობის ინფორმირება არის ძალიან დაბალი, რაც მუნიციპალური სტრატეგიით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა და 2022 წლის 31 დეკემბრამდე გაზრდილი უნდა იყოს გარკვეული პროცენტით მოსახლეობის ცნობიერება კომპოსტირებასთან დაკავშირებით, რაც როგორც კვლევიდან იკვეთება, არ აქვს მოსახლეობას ცოდნა კომპოსტირების ტექნიკებთან დაკავშირებით და ფოკუს კვლევის მიხედვით, ცოდნის მაჩვენებელი ძალიან დაბალია.

ბოლო ბლოკი შეეხებოდა ნაგვის მოსაკრებელს გადახდის მეთოდს და განწყობას მოსახლეობაში. რესპონდენტების ერთი ნაწილი იხდიდა გადასახადს, ყოველთვიურად ან რამდენჯერმე წელიწადში, მეორე ნაწილი კი არ იხდიდა. რესპონდენტებს შორის იყვნენ ისეთები, ვინც პანდემიამდე მუდმივად იხდიდა თუმცა ბოლო პერიოდში - ალარ - *„პანდემიამდე ყოველთვე ვიხდიდი გადასახადს, მაგრამ პანდემიის შემდგომ ქვითარი ალარც მომსვლია და ბოლო წელზე მეტი იქნება ალარ გადამიხდია ნაგვის მოსაკრებელი...“* (ფოკუს ჯგუფი #2). მოსაკრებლის გაზრდაზე საუბრისას აზრთა სხვადასხვაობა იყო, ერთი ნაწილი - 1/3 რესპონდენტების საკმარისად მიიჩნევდა არსებულ მოსაკრებელს და გაზრდის მომხრე არ ყოფილა, თუმცა დანარჩენი ნაწილი პირიქით, ემხრობოდა ნარჩენების მართვის მოსაკრებლის გაზრდას იმ პირობით, თუ გაუმჯობესდება ზოგადი სიტუაცია და სერვისი იქნება უფრო გამართული და მოწესრიგებული - *„წლებია ერთიდაიგივე ადამიანები მუშაობენ დასუფთავების სამსახურში და ყველა სოფელს ეს რამდენიმე ადამიანი ასუფთავებს, დაამატონ შტატი, გაზარდონ ურნების რაოდენობა და სიამოვნებით გადავიხდიდი გაზრდილ გადასახადს ამ შემთხვევაში, რადგან მიღებული მომსახურებაც შესაბამისი იქნება ფასის და უფრო მეტი ადამიანიც დასაქმდებოდა“* (ფოკუს ჯგუფი #2). დისკუსიის ამ ნაწილშივე შევიტანეთ დაშვება, რომ თუ მიებმებოდა ნაგვის მოსაკრებელი რომელიმე სხვა კომუნალურ გადასახადს რამდენად იქნებოდა ეს მისაღები მათთვის - რესპონდენტების თითქმის უმრავლესობა ეთანხმებოდა აღნიშნულ იდეას და იმედოვნებდა, რომ ამ რეფორმას შეუძლია მოავაროს ნარჩენების მართვის პრობლემა, თუმცა 1/3 გარკვეულწილად სკეპტიკურად უყურებს და არ ეთანხმება - *„ისედაც საკმარის თანხებს ვიხდით ბიუჯეტში და*

საბოლოოდ იმის თქმა მინდა, რომ უნდა იყოს ყველაფერი მოწესრიგებული“ (ფოკუს ჯგუფი #2). ნარჩენების სეპარაცია თემატურად მოსდევდა ამ შეკითხვას და სეპარირებისთვისაც მიზანშეწონილად მიაჩნიათ მოსაკრებლის გადასახადი, თუმცა სეპარაცია შეძლებს და დააბალანსებს გარკვეულ ხარჯებს¹⁰, რაც მოსახლეობას ნაკლებად გაუზრდის სერვისის ღირებულებას - „მისაღებია და ცოტა ბიუჯეტური რომ იყოს, ეს პროექტი უკეთესად განხორციელდებოდა“... იქვე „რამდენად წარმატებით განხორციელდება არ ვიცი, მაგრამ უნდა დამკვიდრდეს ბოლოს და ბოლოს“ (ფოკუს ჯგუფი #1), „აუცილებლად მოგვიწევს, ადრე თუ გვიან, ამ მიმართულებით გადასვლა თუ ევროკავშირის წევრობაზე გვაქვს პრეტენზია და ეს ბუნებრივად აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ეს საკითხი გათვალისწინებული იყოს, თუმცა ჯერ-ჯერობით, ისეთი მარტივი საკითხებია მოუგვარებელი, რომ ამაზე გადასვლა მთლად დამაბნეველი იქნება საზოგადოებისთვის. რა თქმა უნდა, მივესალმები, მინდა ძალიან, მაგრამ ახლანდელი პერსპექტივებიდან ეს კაი ხანი არ გველოდება“ (ფოკუს ჯგუფი #2). როგორც დისკუსიიდან გამოიკვეთა, მუნიციპალიტეტს სეპარირების მოსამზადებლად არ გაუწევია რაიმე კამპანია მოსახლეობაში, შესაბამისად, მზაობა არ არის და განწყობა სკეპტიკურია ამ მხრივ, თუმცა შესაბამისი სერვისის დანერგვის შემთხვევაში ვარაუდობენ, რომ გარკვეული პერიოდის შემდგომ სისტემა ამუშავდება და სრულად მოხდება ინტეგრირება. სოფლის მეურნეობის ნარჩენებთან დაკავშირებით შეკითხვაზე, მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მოსახლეობა წვავს და მისგან გამოწვეული სუნი საკმაოდ შემაწუხებელია მათთვის. საყოფაცხოვრებო და სამეურნეო¹¹ ნარჩენების არგარდაქმნა ბიო სასუქად ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ხაშურის მუნიციპალიტეტში. შესაბამისად, სეპარირება და დახარისხების სისტემის გამართვა იქნება ერთ-ერთი დადებითი ფაქტი სერვისის გაუმჯობესების მიზნით, რადგან ერთის მხრივ შესაძლებლობა იქმნება, გაიზარდოს მოსაკრებელი, ხოლო მეორეს მხრივ-დამატებითი შემოსავლებიც.

¹⁰ მკვლევარის შენიშვნა

¹¹ სოფლის მეურნეობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები

ფოკუს ჯგუფმა გამოკვეთა ყველა ის ძირითადი პრობლემა, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტში დგას ნარჩენების მართვის მხრივ. შეჯამებისთვის აღსანიშნავია რამდენიმე ძირითადი პრობლემა: 1.1 მ³ მოცულობის ურნების რაოდენობის სიმცირე, სასმელი წყლის დაბინძურება, უკანონო ნაგავსაყრელი მდინარე „სურამულაში“ და სხვა არხებში, გადავსებული ნაგვის ურნები, რასაც კვლავ რაოდენობის სიმცირე და გატანის სიხშირე იწვევს, ასევე კვირაში ერთხელ ან ორჯერ გატანა იწვევს ურნების გარშემო მოწყობილ „სტიქიურ“ ნაგავსაყრელებს. ფოკუს დისკუსიამ საკმაოდ კარგი ბაზისი შექმნა რაოდენობრივი კვლევის წინ, შესაბამისად, რაოდენობრივ კვლევაში ძირითადი აქცენტები იქნა გათვალისწინებული იმ პრობლემების შესასწავლად, რაც ფოკუს ჯგუფებმა გამოკვეთა. მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების სტრატეგიულ დოკუმენტთან მიმართებაში შეგვიძლია, დადებით კონტექსტში განვიხილოთ ის ფაქტი, რომ 2017 წელთან შედარებით გაზრდილია ნაგვის ურნების რაოდენობა მუნიციპალურ ტერიტორიაზე, შექმნილია დასუფთავების ნარჩენების გატანის სისტემა. შემცირებულია სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობა, თუმცა მდინარე სურამულა რჩება კვლავ აქტიურ კერად, რომლის დაბინძურების პრევენცია ან აკრძალვა დღემდე ვერ ხერხდება.

კვლევის ბოლოს რესპონდენტებს ვთხოვდით რეკომენდაციებს, რომლებიც წარედგინა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას და შესაძლებელი იქნება გათვალისწინება ნარჩენების მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად.

რეკომენდაციები:

- სუპერმარკეტების და მაღაზიების მიმდებარე ურნები დაიცალოს დღეში 2-ჯერ;
- 1.1 მ³ მოცულობის ურნების რაოდენობა გაიზარდოს მუნიციპალიტეტში;
- ზაფხულის პერიოდში დილა-სადამოს იცლებოდეს ნაგვის ურნები;
- დაემატოს მცირე ზომის ნაგვის ურნები ქალაქსა და ისეთ ტერიტორიებზე, სადაც ვერ თავსდება 1.1 მ³ მოცულობის ურნა;
- გაიზარდოს ანაზღაურება დასუფთავების სამსახურში დასაქმებულებისთვის;
- გაიზარდოს ადამიანური რესურსი დასუფთავების სამსახურში;

- მეტი კომუნიკაცია და ურთიერთობა მოსახლეობასთან;
- მეტი ყურადღება დაეთმოს ქუჩების დასუფთავებას;
- გაკონტროლდეს სასმელი წყლის ხარისხი და მოწესრიგდეს მიწოდების სისტემა;
- მოხდეს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების კომპოსტირების მხრივ;
- მოხდეს მდინარე სურამულას კალაპოტის დასუფთავება და პრევენცია მდინარის დაბინძურების;
- სოფლებში უფრო ხშირად ხდებოდეს ურნების დაცლა;


რაოდენობრივი კვლევის ანალიზი

რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა ფიზიკურად ხაშურის მუნიციპალიტეტში 10 ივლისიდან 15 ივლისის პერიოდში. კვლევამ მოიცვა ქალაქი ხაშური, დაბა სურამი და ოთხი სოფელი - გომი, ზემო და ქვემო ოსიაური, ცხრამუხა. შერჩევის ჩარჩოს შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ, თუმცა აღსანიშნავია, რომ სავსე კვლევამ 340-ზე მეტი რესპონდენტი მოიცვა. კვლევის ცდომილება შეადგენს $\pm 3.9\%$ -ს. კვლევა არის გამოყენებითი სახის და მისი მონაცემები გამოსადეგია როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ინსტიტუტებისათვის. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ზოგადი შეფასება ხაშურის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სისტემისა და მუნიციპალური სტრუქტურების ზოგადი მუშაობისა.

რაოდენობრივი კვლევა შედგებოდა რამდენიმე ბლოკისგან, რომელიც შედგენილი იყო ფოკუს ჯგუფის შედეგებზე დაყრდნობით და ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების ნარჩენების მართვის სტრატეგიის დოკუმენტის ზოგადი შედეგების მონიტორინგისა და შეფასებისათვის. კვლევაში შეკითხვები შეეხებოდა სანაგვე ურნების რაოდენობას, განთავსების წერტილს, დასუფთავების სამსახურის მუშაობას და ნარჩენების მართვას, გარემოს სისუფთავეს, სტიქიურ ნაგავსაყრელებსა და მოსახლეობის ქცევას ნარჩენების მართვის და გადასახადების გადახდის მხრივ, ასევე ნარჩენების სეპარირების მზაობასა და მის გადამუშავებას. კვლევის მიზნისა და პროექტის შესახებ ინფორმაციის გაცნობის შემდგომ პირველი ბლოკი შეეხებოდა სანაგვე ურნების საკითხს. პირველი შეკითხვა სანაგვე ურნების განთავსებას შეეხებოდა, სადაც კითხვაზე, არის თუ არა მათ დასახლებაში განთავსებული სანაგვე ურნა, რესპონდენტთა 94% გვპასუხობს დადებითად, ხოლო 6% - უარყოფითად. ამის შემდგომ ვეკითხებოდით, თუ რა მანძილია მათ საცხოვრებელ სახლსა და უახლოეს სანაგვე ურნას შორის - გამოკითხულთა 85%-მა გვითხრა რომ 200 მეტრზე ნაკლებია მანძილი, 8% - 201-300 მეტრი, 3% - 301-500 მეტი, 2-2% - 501-1000 და 1011-2000 მეტრი. როგორც ამ ორი შეკითხვიდან იკვეთება, სანაგვე ურნები საკმაოდ კარგად არის განთავსებული და 92%-ზე მეტს არ ექმნება პრობლემა ნარჩენების გატანის, თუმცა ის 8% ვისთვისაც შორს მდებარეობს სანაგვე ურნები, დამატებითი რისკია ნარჩენების უკანონოდ გადაყრის და მისი მართვის

არაეფექტიანობისა კონკრეტულ ადგილებზე. რაც შეეხება, ურნების რაოდენობის საკმარისობას, აქ რესპონდენტების 41%-მა აღნიშნა, რომ სრულიად საკმარისია, 28% დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს, ხოლო 31% აღნიშნავს, რომ სრულიად არასაკმარისია მათი რაოდენობა. არასაკმარისობის მიზეზად კი რაოდენობრივი კვლევის დროს ასახელებდნენ მუდმივად გადავსებულობას სანაგვე ურნების, რაც იწვევდა ერთის მხრივ დისკომფორტს მოსახლეობაში, რადგან ხშირად მიტანილი ნაგავი უკან წაუღიათ, ან იქვე დაუტოვებიათ, რაც შინაური ცხოველების მიერ შემდგომ იგანტება და ნაგვიანდება გარემო, რომლის დასუფთავებაც არ ხდება დასუფთავების სამსახურის მიერ.

როგორ შეაფასებდით თქვენს დასახლებაში არსებული ნაგვის ურნების რაოდენობას?




დიაგრამა #1

დამატებით, მცირე ზომის სანაგვე ურნების განთავსებას რაც შეეხება, მხოლოდ გამოკითხულთა 6% აღნიშნავს, რომ ასეთი ურნა მათ საცხოვრებელ უბანში დგას, ხოლო 93% შემთხვევაში ეს ურნები არ გვხვდება. თუმცა შეკითხვაზე, არსებობს თუ არა საჭიროება მცირე ზომის სანაგვე ურნების განთავსებისა - 67% აღნიშნავს რომ დიახ, 27% - არა და 6%-მა არ იცის არის თუ არა საჭირო. ბლოკის შემდგომი ორი შეკითხვა გარემოს სისუფთავეს და მისით კმაყოფილობას შეეხებოდა, კერძოდ, შეკითხვაზე - გაკმაყოფილებთ თუ არა სისუფთავე თქვენს დასახლებაში, რესპონ-


დენტთა 55% აღნიშნავს - დიახ, 43% - არა, ხოლო 2%-მა არ იცის. ასევე დასუფთავების სიხშირე იყო საინტერესო, სადაც 16% გვითხრა რომ ყოველდღიურად სუფთავდება ტერიტორია, 8% - კვირაში რამდენჯერმე, 3% - კვირაში ერთხელ, 1-1% თვეში ერთხელ და წელიწადში რამდენჯერმე, 7% - არასდროს არ სუფთავდება, 50% - მაცხოვრებლები ვასუფთავებთ და 5%-მა ამ შემთხვევაშიც არ იცის სუფთავდება თუ არა მის საცხოვრებელ ტერიტორიასთან არსებული გარემო. აღნიშნული შეკითხვის პასუხების შემოწმება საინტერესო იყო სოფლისა და ქალაქის მიხედვით, სადაც ქალაქის ქუჩების დაბინძურება მკვეთრად გამოიკვეთა, კერძოდ, იმ რესპონდენტებიდან, რომლებმაც თქვეს რომ საკუთარი ძალებით ასუფთავებენ ტერიტორიებს, 65% იყო ქალაქში მცხოვრები, ხოლო 35% - სოფელში. ასევე მათგან, ვინც უპასუხა, რომ არასდროს არ სუფთავდება საცხოვრებელი უბანი, რესპონდენტების 34% იყო ქალაქში მცხოვრები, ხოლო 66% - სოფელში. სხვა მახასიათებლის მიხედვით სოფლებისა და ქალაქის მაცხოვრებლებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ ყოფილა. ბლოკის ბოლო შეკითხვა შეეხებოდა ნარჩენების გატანას, კერძოდ, რამდენად ხშირად გააქვთ საყოფაცხოვრებო ნარჩენები სპეციალური ტექნიკით - გამოკითხულთა 63% აღნიშნავს, რომ ყოველდღიურად გააქვთ, 21% - კვირაში რამდენჯერმე, 8% - კვირაში ერთხელ, 1% - მაცხოვრებლებს ჩვენი ძალებით გაგვაქვს, ხოლო 7%-მა არ იცის.

რამდენად ხშირად სუფთავდება თქვენი საცხოვრებელი უბანი დასუფთავების სამსახურის მიერ?




დიაგრამა #2

რამდენად ხშირად გააქვთ საყოფაცხოვრებო ნარჩენები სპეციალური ტექნიკით?



დიაგრამა #3

კვლევის შემდეგი ბლოკი შეეხებოდა მოსახლეობის ქცევის შესწავლას ნარჩენების გატანა/გადაყრასთან დაკავშირებით. მოსახლეობის 46% - ყოველდღიურად ყრის, 44% - კვირაში რამდენჯერმე, 7% - კვირაში ერთხელ, 1% - თვეში ერთხელ, ხოლო 2%-მა არ იცის რა სიხშირით გააქვთ ნარჩენები საკუთარი სახლიდან. რაც შეეხება ნარჩენების გადაყრის პერიოდს, გამოკითხულთა 44% - გააქვს ნარჩენი, როცა ამის საჭიროება უდგას. 32% - დილით გააქვს, 19% - საღამოს და 5% - შუადღით, აქვე საინტერესო იყო ინფორმაცია გადავსებული ურნების შესახებ: პირველად ვეკითხებოდით, თუ ჰქონიათ როდისმე შემთხვევა, როდესაც ურნასთან მისულან და გადავსებული დახვედრიათ, კვლევამ გამოკვეთა, რომ 33%-ს იშვიათად (წელიწადში რამდენჯერმე) დახვედრია გადავსებული, 29% - თითქმის არასდროს, 28% ხშირად (თვეში რამდენჯერმე), 8% - თითქმის ყოველთვის, ხოლო 2% - თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან. გადავსებული ურნების მნახველთა უმეტეობა იმ სოფლების მოსახლე იყო, საიდანაც კვირაში 1-2-ჯერ გააქვთ ნარჩენები, თუმცა მცირე რაოდენობით ეს პასუხი ქალაქის მოსახლეობასთანაც გვხვდებოდა.




დიაგრამა #4

რაც შეეხება ქცევას გადავსებული ურნის დახვედრის შემთხვევაში, რესპონდენტების პასუხების განაწილება შემდეგნაირია - 31% - ურნასთან დამიტოვია ნაგავი, 25-25% - უკან წამიღია სახლში და სხვა ურნასთან მიმიტანია, 2% - სხვა ადგილას გადამიყრია (თუმცა არ აკონკრეტებს ადგილს, რაც ხშირად გულისხმობს სტიქიურ

ნაგავსაყრელს), 5%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან და 12%-მა სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი დააფიქსირა, სადაც გულისხმობდნენ სანაგვე ურნასთან დატოვებას, ძალით ჩატენვას, ურნაზე ზემოდან დადებას და სხვა მსგავს ქცევებს.


ბლოკის ბოლო რამდენიმე შეკითხვა ნარჩენების მოსაკრებლის გადახდას და მის მისაღებ ფასს შეეხებოდა. პირველი შეკითხვა იყო გადახდის სიხშირესთან დაკავშირებით, სადაც გამოკითხულთა 63% აღნიშნავს, რომ ყოველთვიურად იხდის გადასახადს, 11% - წელიწადში რამდენჯერმე, 9% - არასდროს გადაუხდია, 6% - წელიწადში ერთხელ, ხოლო 10%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან. რაც შეეხება ნარჩენების გატანის მოსაკრებლის მისაღებ თანხას ერთ სულ მოსახლეზე, გამოკითხულთა 65% ასახელებს 50 თეთრს, 8% - 1 ლარს, 8% თვლის, რომ არსებულზე ნაკლები უნდა იყოს - ანუ 20 ან 25 თეთრი, 4% - უფასო უნდა იყოს, 3% - 2 ლარი, 1% - იმაზე მეტი ვიდრე ახლა არის, 9%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან, ხოლო 1%-მა სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი დააფიქსირა. აქვე დამატებით ჩავეკითხეთ ნაგვის მოსაკრებლის სხვა კომუნალურ მოსაკრებლებზე მიზმის ინიციატივაზე, რომელიც მუნიციპალიტეტისთვის გააუმჯობესებს მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელს, გამოიკვეთა რომ გამოკითხულთა 39%-ისთვის სავსებით მისაღებია, 30% - არაა მისაღები, 25% - მეტ-ნაკლებად მისაღებია, 7% - სრულიად მიუღებელია.

რამდენად მისაღები იქნებოდა ნაგვის მოსაკრებლის მიზმა ელ.ენერჯის ან გაზის გადასახადზე?




დიაგრამა #6

კვლევის მესამე ბლოკი შეეხებოდა ნარჩენების სეპარირებას და გადამუშავებას. შეკითხვებით ვცდილობდით ზოგად განწყობაზე დაკვირვებას და მოსახლეობის მზაობის შეფასებას. შეკითხვაზე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში დაიწყებდნენ თუ არა ნარჩენების სეპარირებას, გამოკითხულთა 68% დადებითად გვპასუხობს, 20% - უარყოფითად, ხოლო 12%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან. მათ, ვინც უარყოფითად გვიპასუხა ან თავი აარიდა შეკითხვას, დამატებით ჩავეკითხეთ, თუ რატომ არ ისურვებდა ხალხი სეპარირების დაწყებას - რესპონდენტთა 51% ამბობს, რომ მოსახლეობა არ გააკეთებს ამას, 18% - მოუხერხებელია, 9% - რთულია, 3%-მა სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი გვითხრა, ხოლო 20%-მა აქაც თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან. როგორც ზოგადი განწყობიდან იკვეთება, გამოკითხულთა 68% აქვს მზაობა ნარჩენების სეპარირების, თუმცა კონტროლ შეკითხვაზე 80%-მა სხვადასხვა მიზეზი დაგვისახელა თუ რატომ არ დაიწყებდნენ ნარჩენების დახარისხებას. შესაბამისად, წინა შეკითხვაზე გამოთქმული მზაობა არის კვლევის გავლენა და რეალურად ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა არ არის მზად სახელმწიფოსგან დავალების გარეშე დაიწყოს ნარჩენების სეპარირება.




დიაგრამა #7



დიაგრამა #8

რაც შეეხება ბლოკის შემდგომ შეკითხვებს, ისინი შეეხებოდა სტიქიურ ნაგავსაყრელებს და მისგან გამოწვეულ უარყოფით შედეგებს. პირველი შეკითხვა შეეხებოდა სტიქიური ნაგავსაყრელების შესახებ თუ ჰქონდათ რესპონდენტებს ინფორმაცია, სადაც 12%-ს აქვს, 89% - არ აქვს, 9% - თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან. იმ რესპონდენტებს, რომელთაც აქვთ ინფორმაცია, დამატებით ჩავეკითხეთ, თუ რამდენ უკანონო ნაგავსაყრელზე აქვთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში ან მათ თემში, გამოკითხულთა 79% - ერთი ნაგავსაყრელი გაიხსენა, 3% - სამი ნაგავსაყრელი, ასევე 3%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან და სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი დაგვისახელა 16%-მა. აქვე ვეკითხებოდით სტიქიური ნაგავსაყრელების განთავსების გეოგრაფიულ არეალებზე და გამოკითხულთა 54% მდინარის კალაპოტი დაგვისახელა, 14% - პირდაპირ მდინარეში იყრება, 8-8% - მიტოვებული შენობა ნაგებობები და სასოფლო-სამეურნეო მიწები, 3% - ხევები და 14% სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი იყო. საინტერესო იყო აქვე სტიქიურ ნაგავსაყრელებზე გადაყრილი ნარჩენების სახეობები, სადაც გამოიკვეთა 70% - ორგანული ნარჩენი (სასოფლო-სამეურნეო), 16% - სამშენებლო, 11% - ყველანაირი, 3% - ქაღალდი/პლასტიკი. როგორც კვლევის ამ ნაწილმა გვიჩვენა, სტიქიურ ნაგავსაყრელებზე ძირითადად ხდება ისეთი ნარჩენი, რომლის გადამუშავება ადგილობრივ მოსახლეობას თავადვე

შეუძლია, თუმცა სისტემა და ორგანული ნარჩენების გადამუშავების ცოდნა ნაკლებად არსებობს მუნიციპალიტეტში, რაც იწვევს ნარჩენების გადაყრას მდინარეებსა და სხვადასხვა მიდამოებში. გამოკითხვისას სტიქიური ნაგავსაყრელები თითქმის ყელა თემში დასტურდებოდა. ბლოკის ბოლო შეკითხვები შეეხებოდა სასმელი წყლით კმაცოფილებას, კერძოდ, შეკითხვა შეეხებოდა სასმელი წყლის ხარისხით მოსახლეობის კმაცოფილებას. სადაც რესპონდენტთა 26% სრულიად კმაცოფილია, 25% - მეტ-ნაკლებად კმაცოფილია, 39% - სრულიად უკმაცოფილოა, ხოლო 10%-მა სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი დაგვისახელა, სადაც, ძირითადად უკმაცოფილობას გამოთქვამდნენ მოწოდების გრაფიკზე. დამატებით ვუსვამდით შეკითხვას იმ რესპონდენტებს, ვისაც არ მოსწონს სასმელი წყლის ხარისხი, თუ რითი იყვნენ უკმაცოფილო და გამოვლინდა, რომ 36%-ს არ მოსწონს მისი მაღალ მარილიანობა და სასმელად გამოუყენებლობა, 24%-ს წყალი საერთოდ არ მიეწოდება, 22% - გრაფიკით მიედინება, 17% - დაბინძურებული წყალი მოედინება, 2%-მა სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი დაგვისახელა. როგორც ირკვევა მიზეზები საკმაოდ მრავალფეროვანია სამწუხაროდ, სასმელ წყალთან დაკავშირებით.




დიაგრამა #9


ბლოკის ბოლო შეკითხვა ისევ სტიქიურ ნაგავსაყრელებს შეეხებოდა, სადაც ყველა რესპონდენტს ვეკითხებოდით ნაგავსაყრელის სიახლოვით გამოწვეულ პრობლემებზე, რადგან თითქმის ყველა თემში გამოვლინდა სტიქიური ნაგავსაყრელის არსებობა (მიუხედავად იმისა, ჰქონდა ყველა რესპონდენტს ინფორმაცია = არა) ვეკითხებოდით, რაიმე პრობლემა ხომ არ ფიქსირდებოდა მათ სოფელში უკანონო ნაგავსაყრელების ან დაბინძურებული ტერიტორიების არსებობიდან გამომდინარე, შესაბამისად, გამოკითხულთა 83% აღნიშნავს, რომ არანაირი პრობლემა არ უდგათ, 7% - უსიამოვნო სუნის, 1% - სასმელი წყლის დაბინძურება, 3% - სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი და 7%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან.

როგორც კვლევის წინამდებარე ნაწილმა დაგვიდასტურა, ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფლების უმრავლესობაში სტიქიური ნაგავსაყრელები აღკვეთილი და მოგვარებულია, თუმცა რამდენიმე ადგილას კვლავ რჩება დაბინძურების კერები, როგორცაა მდინარე „სურამულა“ და სხვა არხის პირები მუნიციპალიტეტებში.

კვლევის ბოლო ბლოკი დემოგრაფიულ მონაცემებს ეხებოდა, სადაც გამოკითხულთა 66% არის ქალი, ხოლო 34% - კაცი. ასაკის მიხედვით 4% - 18-23 წლის, 7% - 24-29 წლის, 10% - 30-36 წლის, 15% - 37-43 წლის, 14% - 44-50 წლის, 12% - 51-57 წლის, 13% - 58-64 წლის და 25% - 65 და მეტი ასაკის. კვლევაში მონაწილე რესპონდენტების საშუალო ასაკი იყო 50.58 წელი. გამოკითხული რესპონდენტების დასაქმების სტატუსი იყო შემდეგნაირი: 33% - უმუშევარი, 11% - დასაქმებული საჯარო სამსახურში, 12% - დასაქმებული კერძო სექტორში, 13% - თვითდასაქმებული, 1-1% - სტუდენტი და სეზონურად დასაქმებული, ხოლო 28% - პენსიონერი. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით 28% - 4 წევრიანი, 17% - 2 წევრიანი, 15% - 3 წევრიანი, 12% - 5 წევრიანი, 11-11% - 6 და 1 წევრიანები, 4% - 7 წევრიანი და 2%-მა სხვა პასუხი დაგვისახელა, სადაც 8 და მეტ წევრიანი ოჯახები იყო. ინტერვიუს ბოლო ბლოკი შეეხებოდა ოჯახის საშუალო შემოსავლის გაგებას, სადაც რესპონდენტების 77%-მა გაგვიმხილა შემოსავალი, ხოლო 23%-მა თავი აარიდა პასუხს, მათ ვინც გვიპასუხეს, ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი შემდეგნაირია - 20% - 401-600 ლარი, 14% - 201-400 ლარი, 13% - 801-1100 ლარი, 10-10% - 601-800 და 1500 ლარზე მეტი, 6% - 1101-1500 ლარი და 4% 0-200 ლარი.



დიაგრამა #10



დიაგრამა #11

რაოდენობრივმა კვლევამ ფაქტობრივად გაამყარა ის პრობლემები და გამოწვევები, რაც ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოიკვეთა. სტიქიური ნაგავსაყრელები მნიშვნელოვნად არის შემცირებული და საკმაოდ კარგი შედეგებია ამ მხრივ, რაც ნამდვილად მიუთითებს მუნიციპალიტეტის სტრუქტურის გამართულად მუშაობაზე ამ მხრივ, თუმცა მდინარე „სურამულა“ და მდინარის ნაპირები კვლავ დაბინძურებულია, იგი მუდმივად ბინძურდება მოსახლეობის მხრიდან, ასევე ხევები, სადაც დიდი რაოდენობით ნარჩენებია თავმოყრილი და არ არის დაკონსერვებული. კვლევის შედეგებს თუ შევადარებთ, მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სტრატეგიასთან, შევნიშნავთ, რომ ის მიზნები, რაც მუნიციპალიტეტს ჰქონდა დასახული, მხოლოდ ნაწილობრივია შესრულებული და დიდი ნაწილი კვლავ შეუსრულებელია. აღნიშნული კვლევა მეორეს მხრივ იმით არის საინტერესო, რომ 2022 წლისთვის არსებული სურათი გვაქვს, სტრატეგიის ბოლო წელს რა სიტუაციაა მუნიციპალიტეტში და შემდგომ წლებში ზემოთ აღნიშნული იძლევა შესაძლებლობას, ჩატარდეს შედარებითი კვლევა და განისაზღვროს კვლევიდან ინდიკატორები.

კვლევაში აღსანიშნავია სასმელი წყლის პრობლემა, რომელიც მასიურად უდგას მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას და აუცილებელია ამ საკითხზე უფრო აქტიურად მუშაობა. ნარჩენების სეპარირების და გადამუშავების საკითხი კვლავ

მოუგვარებელია მუნიციპალიტეტში და ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობასთან იყოს შეხვედრები და მაქსიმალურად მოხდეს ცნობიერების ამაღლება, რათა საკუთარი ძალებით თავად მოსახლეობა ჩაერთოს სულ მცირე საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების და კომპოსტირების პროცესებში.

კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ეფუძნება რაოდენობრივი კვლევის შედეგებს.

რეკომენდაციები:

- დაემატოს ნაგვის ურნები სოფლებსა და ქალაქში;
- გაიზარდოს ნარჩენების გატანის სიხშირე სოფლის ტიპის დასახლებებიდან;
- გამოსწორდეს სასმელი წყლის მიწოდების განრიგი;
- მოსახლეობას მიეწოდოს სასმელად ვარგისი წყალი;
- მოხდეს წყლის ფილტრების დამატება და სათავე ნაგებობებთან სისუფთავის დაცვა;
- დასუფთავდეს სტიქიური ნაგავსაყრელები და გამკაცრდეს მათ აღმოსაფხვრელი კონტროლი;
- ამუშავდეს ჯარიმების სისტემა და კანონი გახდეს ქმედითი;
- გაიზარდოს ნარჩენების გატანისთვის საჭირო სპეც. ტექნიკის რაოდენობა დასუფთავების სამსახურში;

დაკვირვების შედეგი

ფოკუს ჯგუფის მონაცემებზე დაყრდნობით და რაოდენობრივი კვლევის პარალელურად, ჩვენმა ჯგუფმა ხაშურის მუნიციპალიტეტში განახორციელა დაკვირვება დაბინძურებულ კერებზე. კერძოდ, ვნახეთ რამდენიმე დახურული სტიქიური ნაგავსაყრელი, მდინარე სურამულას კალაპოტი და ის ქუჩები, სადაც რესპონდენტების მხრიდან კეთდებოდა აქცენტი დაბინძურებასთან დაკავშირებით. მონიტორინგისას გამოიკვეთა სურამის სტიქიური ნაგავსაყრელი, რომელიც მდებარეობს მდინარე სურამულასთან და დახურვის შედეგად არსებული ნარჩენები მუნიციპალიტეტს არ გაუტანია, რაც მდინარის წყლის დონის მატებასთან ერთად იწვევს მდინარის შეგუბებას და შესაბამისად, ზიანდება მოსახლეობა და იტბორება საცხოვრებელი ტერიტორიები. სტიქიური ნაგავსაყრელის დახურვასთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაცია და ოქმები არ არსებობს, თუმცა მოსახლეობასთან შეხვედრისას, როგორც რაოდენობრივი კვლევის, ისე მონიტორინგზე გასვლისას, მოსახლეობამ დაგვიდასტურა, რომ ის ტერიტორია იყო სტიქიური ნაგავსაყრელი, რომელიც მუნიციპალიტეტმა „დახურა“. ასევე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ამ დახურული სტიქიური ნაგავსაყრელის სიახლოვეს არის დევნილთა ჩასახლება და იქ ცხოვრობს მოსახლეობა. შესაბამისად, საჭიროა არსებული ტერიტორიიდან ნარჩენების გადატანა მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე და არსებული ტერიტორიის მთლიანად გასუფთავება.

დაკვირვებამ ასევე ნათლად დაგვანახა ის დაბინძურების კერები, რაც მდინარე სურამულაშია, როგორც სურამიდან დაწყებული, ისე ქალაქ ხაშურის ტერიტორიაზეც. გადავსებული ურნები და ურნებთან განთავსებული ნარჩენებიც დაფიქსირდა მონიტორინგისას, თუმცა არც ისე დიდი სიხშირით. საბოლოო ჯამში მონიტორინგისას გამოიკვეთა უკანონო ნარჩენების გადაყრის ფაქტები, სანიაღვრე არხებთან და მდინარეში. გადავსებული ურნების და ურნებთან დატოვებული ნარჩენების პრობლემა მცირე სიხშირით, თუმცა, მაინც ფიქსირდებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტში.

მონიტორინგზე გასვლისას ჩვენმა ჯგუფმა დაასურათა ის დაბინძურებული ტერიტორიები, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგვხვდა. ფოტო მასალა ასევე მოიცავს რაოდენობრივი კვლევებისას გადაღებულ ფოტოებსაც, რომელიც მონიტორინგის ჯგუფის გასვლიდან ერთ თვეში განხორციელდა.





ტერმინთა განმარტება

საყოფაცხოვრებო ნარჩენები - მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;

მუნიციპალური ნარჩენები - საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავისი მახასიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია.

რეციკლირება - რეციკლირება გულისხმობს ნარჩენების გადამუშავებს, რათა მოხდეს მისი შემდგომი გარდაქმნა სხვა პროდუქტად.

კომპოსტირება - ორგანული ნარჩენების დამუშავების სპეციალური ტექნიკა, რომლის საშუალებითაც მიიღება ორგანული სასუქი.

ნარჩენების სეპარირებული შეგროვება - ნარჩენების შეგროვება, რომლის დროსაც ნარჩენების ნაკადები განცალკევებულია სახეობების და თვისებების მიხედვით, მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობის მიზნით;

შეგროვების ზარის პრინციპი - ნარჩენების შეგროვების მეთოდი, რომლის დროსაც ნარჩენების წარმომქმნელებს თავად მიაქვთ მცირე ზომის კერძო ურნებში ან პოლიეთილენის პარკებში მოთავსებული ნარჩენები წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე გაჩერებულ ნარჩენების შემგროვებელ ავტომანქანასთან.

დანართები

დანართი №1

ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა

შესრულებული სამუშაოების შეფასება

- თქვენს სოფელში თუ არის განთავსებული ნაგვის ურნები? (რამდენი ურნაა დაახლოებით? როგორაა ისინი გადანაწილებული? რა მანძილითაა დაშორებული ურნა თქვენი სახლდან?)
- თქვენი აზრით, არის თუ არა სანაგვე ურნების რაოდენობა საკმარისი? (რატომ არ არის? რას იტყოდით მცირე ზომის ურნების საჭიროებაზე?)
- რა სიხშირით იცლება სოფელში განთავსებული ნაგვის ურნები? (კვირაში რამდენჯერ? დღის რა მოანკვეთში?)

უკანონო ნაგავსაყრელები

- თუ არსებობს თქვენს სოფელში/ ქალაქში უკანონო ნაგავსაყრელები (რამდენი? სად არის ისინი განთავსებული? რამდენად ახლოსაა ისინი დასახლებული პუნქტებიდან?)
- შეგიძლიათ მითხრათ თქვენს სოფელში/მხარეში არსებულ სასმელ წყალზე? (საიდან იღებთ წყალს? ჭა, წყარო, ონკანი? რამდენად აკმაყოფილებს ის თქვენს მოთხოვნებს (გემოს, სისუფთავისა და უვნებლობის მხრივ?)
- ინდუსტრიულად, ან ქიმიურად ხომ არ ბინძურდება თქვენი მხარე?
- გსმენიათ თუ არა გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებულ ჯარიმებთან დაკავშირებით? (თქვენს გარშემო თუ დაუჯარიმებიათ ვინმე? უკანონო ნაგავსაყრელებით სარგებლობა, ქუჩაში დაყრა, ფოთლების დაწვა).

მოსახლეობის დამოკიდებულება

- როგორ შეაფასებდით თქვენი მეზობლების/თანასოფლელების ქცევას ნაგვის გადაყრასთან დაკავშირებით? (რა ტიპის ნაგავს ყრიან ურნაში? ხომ არ ყრიან ნაგავს რომლის გადამუშავება/განადგურება თავადაც შეუძლიათ?)

- როგორ იქცევა **მოსახლეობა** თუ ნაგვის გადასაყრელად მივლენ და ურნა სავსე ხვდებათ? (თუ იყენებენ უკანონო ნაგავსაყრელებს? თავად თქვენ როგორ იქცევით?)
- თუ გავითვალისწინებთ დასუფთავების კუთხით არსებულ სიტუაციას, როგორ ფიქრობთ კიდევ არსებობს უკანონო ნაგავსაყრელების შენარჩუნების საჭიროება?

რეკომენდაციები/სამომავლო პერსპექტივები

- გადაიხდიათ თუ არა აქამდე დაუსუფთავების გადასახადი? (თქვენი მეზობლები/თანასოფლელები თუ იხდიან?)
- გადაიხდიდით თუ არა ნაგვის მოსაკრებელს ნარჩენების მართვის გაუმჯობესების მიზნით? (რა თანხას გადაიხდიდით? რა ფორმით?/ელ.ენერგიაზე მიბმა მისაღებია?)
- თქვენთვის რამდენად მისაღებია რომ ნაგავი დაახარისხოთ და ისე გადაყაროთ? (თქვენი აზრით რამდენად წარმატებით შეიძლება განხორციელდეს ეს თქვენს სოფელში?)
- სამეურნეო ნარჩენებს როგორ ექცევით, თუ შეგიძლიათ რომ მითხრათ?
- კომპოსტირებისთვის თუ გიცდიათ გამოყენება/ან თუ იყენებთ/ ან თუ იციან რა არის?

რეკომენდაციები და რჩევები მუნიციპალიტეტისთვის/მკვლევარისთვის

დანიართი №2

რადიონოზი კლავის კითხვარი

რამდენი ხანია რაც მუდმივად ცხოვრობთ თქვენს დასახლებაში?

1. დაბადებიდან;
2. 10 წელზე მეტია;
3. 5-9 წელი;
4. 1-4 წელი;
5. 1 წელზე ნაკლები;
6. 6 თვეზე ნაკლები.

Q1. თქვენს დასახლებაში არის თუ არა განთავსებული ნაგვის ურნები?

1. დიახ;
2. არა;
88. არ ვიცი.

Q1.1 რა მანძილია თქვენი სახლსა და უახლოეს ნაგვის ურნას შორის?

1. 200მ ან უფრო ნაკლები;
2. 201-300;
3. 301-500;
4. 501-1000მ ;
5. 1001-2000მ;
6. 2001მ ან უფრო მეტი.

Q2. როგორ შეაფასებდით თქვენს დასახლებაში არსებული ნაგვის ურნების რაოდენობას?

1. სრულიად საკმარისია;
2. დამაკმაყოფილებელია;
3. სრულიად არაა საკმარისი.

Q3. თქვენს საცხოვრებელ უბანში არის თუ არა მცირე ზომის სანაგვე ურნები განთავსებული?

1. დიახ;
2. არა;
1. არ ვიცი

Q4. არსებობს საჭიროება, რომ დამატებით მცირე ზომის სანაგვე ურნები განთავსდეს?

1. დიახ
 2. არა
88. არ ვიცი

Q5. გაკმაყოფილებთ თუ არა სისუფთავე თქვენს დასახლებაში?

1. დიახ
 2. არა
2. 88. არ ვიცი

Q6. რამდენად ხშირად სუფთავდება თქვენი საცხოვრებელი უბანი დასუფთავების სამსახურის მიერ?

1. ყოველდღიურად;
 2. კვირაში რამდენჯერმე;
 3. კვირაში ერთხელ;
 4. თვეში ერთხელ;
 5. წელიწადში რამდენჯერმე;
 6. არასდროს არ სუფთავდება;
 7. მაცხოვრებლები ვასუფთავებთ ჩვენი ძალებით.
88. არ ვიცი

Q7. რამდენად ხშირად გააქვთ საყოფაცხოვრებო ნარჩენები სპეციალური ტექნიკით?

1. ყოველდღიურად;
2. კვირაში რამდენჯერმე;
3. კვირაში ერთხელ;

4. თვეში ერთხელ;
 5. წელიწადში რამდენჯერმე;
 6. არასდროს არ გააქვთ.
 7. მაცხოვრებლებს გაგვაქვს ჩვენი ძალებით
88. არ ვიცი

Q8. რა სიხშირით ყრით ნარჩენებს თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრები ურნაში?

1. ყოველდღე
 2. კვირაში რამდენჯერმე
 3. კვირაში ერთხელ
 4. თვეში ერთხელ.
88. არ ვიცი.

Q9. ძირითადად დღის რა მონაკვეთში/პერიოდში ყრით საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ურნაში?

1. დილით;
2. შუადღით
3. საღამოს
4. როდესაც ამის საჭიროება მაქვს;

Q10. გქონიათ თუ არა შემთხვევა როდესაც ნაგვის გადასაყრელად მისულს ურნა გადავსებული დაგხვედიათ?

1. თითქმის არასდროს;
2. იშვიათად;
3. ხშირად;
4. თითქმის ყოველთვის;

88. არ ვიცი.

Q10.1 როგორ მოქცეულხართ მსგავს შემთხვევაში?

1. ნაგვი ურნასთან დამიტოვია ;
2. უკან წამიღია სახლში;
3. სხვა ურნასთან წამიღია;
4. სხვა ადგილას გადამიყრია;

77. სხვა _____;

88. არ ვიცი

Q11. რა სიხშირით იხდით დასუფთავების გადასახადს?

1. ყოველთვიურად;
2. წელიწადში რამდენჯერმე;
3. წელიწადში ერთხელ
4. არასოდეს გადამიხდია

88. არ ვიცი

Q.11.1 როგორ ფიქრობთ რამდენი უნდა იყოს ნაგვის გატანის გადასახადი თვეში ერთ სულზე?

Q12. რამდენად მისაღებია ნაგვის მოსაკრებლის მიზმმა ელ.ენერჯის გადასახადზე?

1. სავსებით მისაღებია;
2. მეტ-ნაკლებად მისაღებია;
3. არაა მისაღები;
4. სრულიად მიუღებელია;

Q13. თქვენს დასახლებაში რომ განცალკევებული ურნები დადგან სხვადასხვა ტიპის ნარჩენისვის (ქაღალდი, პლასტიკა, ორგანული ნარჩენი) დაიწყებს თუ არა მოსახლეობა ნარჩენების დახარისხებას და ისე გადაყრას?

1. დიახ;
2. არა;
88. არ ვიცი.

(წინა კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში გამოტოვეთ)

Q14. რატომ არ ისურვებდით ნაგვის დახარისხებას?

1. რთულია;
2. მოუხერხებელია;
3. მოსახლეობის უმრავლესობა არ გააკეთებს ამას;
88. არ ვიცი.

Q15. თუ გაქვთ ინფორმაცია სტიქიურ (უკანონო) ნაგავსარელების არსებობის შესახებ თქვენს სოფელში/ქალაში?

1. დიახ;
2. არა;
88. არ ვიცი.

(Q15-ზე „არა“ ან „არ ვიცი“ პასუხის შემთხვევაში გამოტოვეთ)

Q16. რამდენი უკანონო ნაგავსაყრელი არსებობს თქვენს სოფელში/ქალაქში?

1. ერთი;
2. ორი;
3. სამი;
4. 77. სხვა _____

Q17. რა მიდამოებშია განთავსებული ზემოთ აღნიშნული უკანონო ნაგავსაყრელები?

(რამდენიმე პასუხი)

1. მდინარის ნაპირის გასწვრივ;
2. პირდაპირ მდინარეში იყრება

- 3. სასოფლო/სამეურნეო მიწებთან
- 4. მიტოვებულ შენობა ნაგებობებთან;
- 5. ხევებში;
- 77. სხვა _____

Q18. რა ტიპის ნაგავი იყრება სტიქიურ ნაგავსაყრებელზე?
(აირჩიეთ ყველა შესაძლო ვარიანტი)

- 1. საყოფაცხოვრებო (ორგანული ნარჩენები);
- 2. ქალაქი/პლასტიკა;
- 3. სამშენებლო;
- 4. სხვა _____
- 88. არ ვიცი

Q19. რამდენად გაკმაყოფილებთ წყლის ხარისხი თქვენს დასახლებაში?

- 1. სრულიად მაკმაყოფილებს;
- 2. მეტ-ნაკლებად მაკმაყოფილებს;
- 3. სრულიად არ მაკმაყოფილებს;
- 88. არ ვიცი.

Q20. ნაგავსაყრელის სიხლოვით გამოწვეული რამე სხვა პრობლემა ხომ არ ფიქსირდება თქვენს დასახლებაში?

- 1. უსიამოვნო სუნი სუნი;
- 2. შინაური ცხოველების ჯანმრთელობის დაზიანება;
- 3. სასმელი წყლის და დაბინძურება;
- 4. მდინარის დაბინძურება (სათავე ნაგევობა) ;
- 5. არანაირი პრობლემა არ გვიდგას;
- 77.სხვა_____;
- 88. არ ვიცი.

D1. სქესი

- 1. მდედრობითი
- 2. მამრობითი

D2. ასაკი

D3. საცხოვრებელი ადგილი (სოფლის/ქალაქის/უბნის დასახელება)

D4. თქვენი დასაქმების სტატუსი

1. უმუშევარი;
2. სტუდენტი;
3. დასაქმებული საჯარო სამსახურში;
4. დასაქმებული კერძო სამსახურში;
5. თვითდასაქმებული;
6. სეზონურად/პროექტურად დასაქმებული;
7. პენსიონერი.

D5. ოჯახის წევრთა რაოდენობა

1. 1;
2. 2;
3. 3;
4. 4;
5. 5;
6. 6;
7. 7;
77. სხვა _____.


D6. თქვენი შეფასებით, რომელ ინტერვალში მოხვდება თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი?

1. 0-200;
2. 201-400;
3. 401-600;
4. 601 – 800;
5. 801 – 1100;
6. 1101 – 1500;
7. 1501 + ;
77. სხვა _____
88. არ ვიცი;
99. უარი პასუხზე.


დანართი №3

რაოდენობრივი კვლევის დიაგრამები


თქვენს დასახლებაში არის თუ არა განთავსებული ნაგვის ურნები?




რა მანძილია თქვენი სახლსა და უახლოეს ნაგვის ურნას შორის?




როგორ შეაფასებდით თქვენს დასახლებაში არსებული ნაგვის ურნების რაოდენობას?




თქვენს საცხოვრებელ უბანში არის თუ არა მცირე ზომის სანაგვე ურნები განთავსებული?




როგორ ფიქრობთ, არსებობს საჭიროება მცირე ზომის სანაგვე ურნების არსებობის?




გაკმაყოფილებთ თუ არა სისუფთავე თქვენს დასახლებაში?




რამდენად ხშირად სუფთავდება თქვენი საცხოვრებელი უბანი დასუფთავების სამსახურის მიერ?




რამდენად ხშირად გააქვთ საყოფაცხოვრებო ნარჩენები სპეციალური ტექნიკით?




რა სიხშირით ყრით ნარჩენებს თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრები ურნაში?




ძირითადად დღის რა მონაკვეთში/პერიოდში ყრით საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ურნაში?



გქონიათ თუ არა შემთხვევა როდესაც ნაგვის გადასაყრელად მისულს ურნა გადაგსებული დაგხვედიათ?




როგორ მოქცეულხართ მსგავს შემთხვევაში?




- ნაგვი ურნასთან დამიტოვია; ■ უკან წამიღია სახლში;
- სხვა ურნასთან წამიღია; ■ სხვა ადგილას გადამიყრია;
- სხვა
- არ ვიცი.


რა სიხშირით იხდით დასუფთავების გადასახადს?




როგორ ფიქრობთ რამდენი უნდა იყოს ნაგვის გატანის გადასახადი თვეში ერთ სულზე?




რამდენად მისაღები იქნებოდა ნაგვის მოსაკრებლის მიზმა ელ.ენერჯის ან გაზის გადასახადზე?



განცალკევებული ურნების დადგმის შემთხვევაში, დაიწყებთ თუ არა ნაგვის სეპარირებულად გადაყრას?




რატომ არ ისურვებდით ნაგვის დახარისხებას?




- რთულია;
- მოუხერხებელია;
- მოსახლეობის უმრავლესობა არ გააკეთებს ამას;
- სხვა;
- არ ვიცი.

თუ გაქვთ ინფორმაცია სტიქიურ (უკანონო) ნაგავსარელების არსებობის შესახებ თქვენს სოფელში/ქალაქში?




რამდენი უკანონო ნაგავსაყრელი არსებობს თქვენს სოფელში/ქალაქში?




■ ერთი; ■ სამი. ■ სხვა ■ არ ვიცი

რა მიდამოებშია განთავსებული ზემოთ აღნიშნული უკანონო ნაგავსაყრელები?




■ მდინარის ნაპირის გასწვრივ; ■ პირდაპირ მდინარეში იყრება;
 ■ სასოფლო/სამეურნეო მიწებთან; ■ მიტოვებულ შენობა ნაგებობებთან;
 ■ ხევებში; ■ სხვა

რა ტიპის ნაგავი იყრება სტიქიურ ნაგავსაყრელებზე?




- საყოფაცხოვრებო (ორგანული ნარჩენები);
- ქაღალდი/პლასტიკა;
- სამშენებლო;
- ყველანაირი


რამდენად გაკმაყოფილებთ წყლის ხარისხი თქვენს დასახლებაში?




რატომ არ გაკმაყოფილებთ წყლის ხარისხი?




რატომ არ გაკმაყოფილებთ წყლის ხარისხი?




ნაგავსაყრელის სიახლოვეთ გამოწვეული რამე სხვა პრობლემა ხომ არ ფიქსირდება თქვენს დასახლებაში?




სქესი







საცხოვრებელი ადგილი (სოფლის/ქალაქის/უბნის დასახელება)



თქვენი დასაქმების სტატუსი



ოჯახის წევრთა რაოდენობა



თქვენი შეფასებით, რომელ ინტერვალში მოხვდება თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი?

